

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს საიალი

31 დეკემბერი 2023

დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი, ისნის

რაიონი, ქეთევან წამებულის

გამზირი, № 54

ტ.: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: + 995 322 604 406

შპს საიალის დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს საიალის (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისათვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების 3.5 შენიშვნაში, საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთითა და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით, მაგრამ კომპანიას არ აქვს გამჟღავნებული რეალური ღირებულება, რომელიც მოითხოვება ბასს 40 „საინვესტიციო ქონება“-ის შესაბამისად.

როგორც მითითებულია შენიშვნა 1-ში, კომპანია ფლობს მიწას და შენობას (იხილეთ შენიშვნა 5), რომელიც მდებარეობს საქართველოში, თბილისის ცენტრში, და გადაცემულია სხვა საწარმოზე (დაკავშირებულ მხარე) (იხილეთ შენიშვნაში 5, 12 და 25) მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის გამოყენებისთვის. ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის პროცედურების მიხედვით, ზემოთ აღწერილ დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ, როგორცაა: ა) ერთ ან მეტ დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული დაკავშირებული მხარის ოპერაციის პირობების შედარება იდენტური ან მსგავსი, “გამლილი ხელის მანძილის პრინციპით” განხორციელებული ოპერაციის პირობებთან; და (ბ) მოცემული ოპერაციის პირობების შედარება ღია ბაზარზე ფართოდ გავრცელებული მსგავსი ოპერაციების პირობებთან, რომელიც შესრულდა ერთ ან რამდენიმე დაუკავშირებელ მხარესთან, დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობას არ წარმოუდგენია დასაბუთებული მტკიცება იმის შესახებ, რომ დაკავშირებული მხარის ოპერაცია “გამლილი ხელის მანძილის პრინციპით” შესრულებული მსგავსი ოპერაციების ანალოგიური პირობებით განხორციელდა. შესაბამისად, განმარტებითი შენიშვნა იმის თაობაზე, რომ დაკავშირებული მხარის ოპერაციები “გამლილი ხელის მანძილის პრინციპით” განხორციელებული მსგავსი ოპერაციების ანალოგიური პირობებით განხორციელდა, არსებითად მცდარია. ჩვენი აზრით, შესაძლო ეფექტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე არის, რომ საიჯარო შემოსავალი შეიძლება იყოს მეტი დაახლოებით 0.5 მილიონი აშშ დოლარადან 1 მილიონ აშშ დოლარამდე ან უფრო მეტით, თუ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები “გამლილი

ხელის მანძილის პრინციპით” შესრულებული მსგავსი ოპერაციების ანალოგიური პირობებით განხორციელდებოდა.

ჩვენ ვერ მივიპოვეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები დაგროვილი საპროცენტო ვალდებულებებისა და ფინანსური ხარჯების შესახებ, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 1.4 მილიონი აშშ დოლარისა და 1 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად, როგორც "DFC"-გან მიღებული სესხები, რომელიც აღნიშნულია შენიშვნა 9-ში, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის განმავლობაში. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ დასტურის წერილი გამსესხებლისგან და არ არსებობდა სხვა ალტერნატიული აუდიტის პროცედურები, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელი იქნებოდა ამ მუხლების დასადასტურებლად. შედეგად, ვერ შევძელით დაგვედგინა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება აღნიშნულ ანგარიშებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 17.2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აჩვენებს მნიშვნელოვან დაგროვილ ზარალს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (18.3 მილიონი აშშ დოლარი) (2022 წლის 31 დეკემბერი: 15.6 მილიონი აშშ დოლარი) და კომპანიას ჰქონდა მნიშვნელოვანი წმინდა ზარალი 2023 წლის განმავლობაში (2.7 მლნ აშშ დოლარი) და 2022 წლის განმავლობაში (5.8 მლნ აშშ დოლარი) და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებები 18.9 მლნ აშშ დოლარით აღემატება მიმდინარე აქტივებს.

როგორც აღნიშნულია 4, 5, 7 და 11 შენიშვნებში, კომპანიის ყველა საინვესტიციო ქონება, ძირითადი საშუალებები და საბანკო ნაშთები ექვემდებარება საგადასახადო გირავნობას/იპოთეკას და ყადაღას შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, როგორც აღნიშნულია შენიშვნა 9-ში, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის კომპანიას დარღვეული აქვს სესხის კოვენანტები.

ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა ეჭვი შეიტანოს კომპანიის შესაძლებლობაზე გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მეთვალყურობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.


შპს გრანტ თორნტონის სახელით

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (სარეგისტრაციო # - SARAS-A-774309)

17 დეკემბერი 2024



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აშშ დოლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,254,955	6,189,760
აქტივის გამოყენების უფლება		64,363	73,473
საინვესტიციო ქონება	5	25,117,792	25,583,523
არამატერიალური აქტივები		442	9,432
		30,437,552	31,856,188
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	65,757	50,933
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	4,645	4,648
		70,402	55,581
სულ აქტივები		30,507,954	31,911,769
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	8.1	29,609,518	29,009,552
აკუმულირებული ზარალი		(18,299,743)	(15,567,933)
		11,309,775	13,441,619
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	169,660	17,265,757
საიჯარო ვალდებულებები	10	20,440	54,696
		190,100	17,320,453
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	553,939	776,345
სესხები	9	18,418,849	342,716
საიჯარო ვალდებულებები	10	35,291	30,636
		19,008,079	1,149,697
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		30,507,954	31,911,769

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 17 დეკემბერს :

ფუად რეფიევი

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის შესახებ უნდა წაიკითხოს 11-დან 36-ე გვერდებზე მითითებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებთან ერთად.


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აშშ დოლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	5,254,955	6,189,760
აქტივის გამოყენების უფლება		64,363	73,473
საინვესტიციო ქონება	5	25,117,792	25,583,523
არამატერიალური აქტივები		442	9,432
		<u>30,437,552</u>	<u>31,856,188</u>
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	65,757	50,933
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	4,645	4,648
		<u>70,402</u>	<u>55,581</u>
სულ აქტივები		<u><u>30,507,954</u></u>	<u><u>31,911,769</u></u>
<i>კაპიტალი და ვალდებულებები</i>			
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>			
საწესდებო კაპიტალი	8.1	29,609,518	29,009,552
აკუმულირებული ზარალი		(18,299,743)	(15,567,933)
		<u>11,309,775</u>	<u>13,441,619</u>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სესხები	9	169,660	17,265,757
საიჯარო ვალდებულებები	10	20,440	54,696
		<u>190,100</u>	<u>17,320,453</u>
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	553,939	776,345
სესხები	9	18,418,849	342,716
საიჯარო ვალდებულებები	10	35,291	30,636
		<u>19,008,079</u>	<u>1,149,697</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u><u>30,507,954</u></u>	<u><u>31,911,769</u></u>

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 17 დეკემბერს :

ფუად რეფიეზ

დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის შესახებ უნდა წაიკითხოს 11-დან 36-ე გვერდებზე მითითებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

აშშ დოლარი	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
საიჯარო შემოსავალი	12	1,414,984	1,407,969
სხვა შემოსავალი		-	50,010
სულ შემოსავალი		1,414,984	1,457,979
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		1,419,839	2,491,719
უიმედო ვალების ხარჯი	13	1,261,792	1,041,069
ჯარიმები	14	65,609	1,769,413
ქონების და სხვა გადასახადები		330,643	240,567
თანამშრომელთა ხელფასები		131,775	139,996
ხარჯები საბანკო გარანტიებზე		-	38,457
ქონების დაზღვევა		31,072	32,059
სხვა ხარჯები		26,892	51,947
სულ საოპერაციო ხარჯები		3,267,622	5,805,227
ფინანსური შემოსავალი	15	75,955	4,947
ფინანსური ხარჯები	15	(1,060,378)	(1,545,627)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება		105,251	59,789
ზარალი მოგების გადასახადამდე		(2,731,810)	(5,828,139)
მოგების გადასახადის (ხარჯი) / აღდგენა		-	-
წლის ზარალი		(2,731,810)	(5,828,139)
სხვა სრული შემოსავალი			
წლის მთლიანი სრული ზარალი		(2,731,810)	(5,828,139)

მოგების ან ზარალის და სხვა შემოსავლის შესახებ უნდა წაიკითხოს 11-დან 36-ე გვერდებზე მითითებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებთან ერთად.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

აშშ დოლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2022 წლის 1 იანვარი	25,312,044	(9,739,794)	15,572,250
წლის ზარალი	-	(5,828,139)	(5,828,139)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(5,828,139)	(5,828,139)
საწესდებო კაპიტალის შევსება	4,037,508	-	4,037,508
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(340,000)	-	(340,000)
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	3,697,508	-	3,697,508
2022 წლის 31 დეკემბერი	29,009,552	(15,567,933)	13,441,619
წლის ზარალი	-	(2,731,810)	(2,731,810)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(2,731,810)	(2,731,810)
საწესდებო კაპიტალის შევსება	599,966	-	599,966
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	599,966	-	599,966
2023 წლის 31 დეკემბერი	29,609,518	(18,299,743)	11,309,775

კაპიტალის ცვლილებების შესახებ უნდა წაიკითხოს 11-დან 36-ე გვერდებზე მითითებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

აშშ დოლარი	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
საიჯარო შემოსავალი		100,263	374,088
მიღებული პროცენტი		305	277
გადახდილი ხელფასები		(35,786)	(128,496)
საკონსულტაციო ხარჯები		-	(19,037)
დაზღვევის ხარჯები		(6,101)	(23,357)
წარმომადგენლობითი ხარჯები		-	(712)
გადახდილი გადასახადები		(600,272)	(194,388)
გადახდილი ჯარიმები		-	(1,700,851)
სხვა გადასახადები		(37,892)	(63,723)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		(579,483)	(1,756,199)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	(196,000)
შემოსავლები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	17,014
სამშენებლო კონტრაქტორები		-	(74,653)
სამშენებლო ზედამხედველობა		-	(38,651)
შეზღუდული ფულადი სახსრების გადარიცხვა		-	1,755,615
გაცემული სესხები		-	(13,544)
გაცემული სესხებიდან მიღებული თანხა		-	250,000
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		-	1,699,781
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის შევსება/(შემცირება)	8.1	599,966	197,508
საბანკო გარანტიები		-	(33,953)
სესხის აღება	24	-	150,000
სესხების დაფარვა	24	(20,606)	-
გადახდილი პროცენტი	24	-	(526,793)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან		579,360	(213,238)
წმინდა შემცირება ნაღდი ფულის და ფულის საბანკო ანგარიშებზე			
საკურსო სხვაობის გავლენა ფულზე		(123)	(269,656)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში		4,648	278,993
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს		4,645	4,648

თანდართული შენიშვნები 11-37 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „საიალი“ (კომპანია) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, დ. უზნაძის ქ. # 58 / უმანგი ჩხეიძის ქ. # 17.

არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში დაფუძნებული შპს „აზერკონ ჰოლდინგ“-ი, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში დაფუძნებული კომპანია ფლობს 72%-ს, ღია სააქციო საზოგადოება „აზერკონ“-ი აზერბაიჯანში დაფუძნებული კომპანია ფლობს 20%-ს და შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“ ფლობს 8%-ს.

კომპანია ფლობს მრავალპროფილიან სამედიცინო ცენტრის შენობას (მიწასთან ერთად) თბილისის ცენტრში, რომელიც იჯარით არის გაცემული სხვა სუბიექტზე შემდგომი გამოყენებისთვის, როგორც მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრი.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2023 წელს შეადგენდა 6 თანამშრომელს. (2022: 8 თანამშრომელი)

ბიზნეს გარემო

პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს ცვლილებებსა და საქართველოში სამართლებრივი, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების განვითარებას განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად სწორედ ამ ცვლილებებზეა დამოკიდებული. მთავრობამ ახალი ვალდებულება აიღო კარგი მმართველობის მიმართ, მათ შორის ანტიკორუფციული ძალისხმევის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიმართ. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ამჟამინდელი ლიკვიდურობის პოზიცია საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისთვის. კომპანია რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდობის პოზიციას და აპირებს საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ლიკვიდობის პოზიციის შესაბამისი ინსტრუმენტები. მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია და მისი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული ადრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებით.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის საფუძველზე და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი დისკოტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი ("ქართული ლარი"). თუმცა, ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში, რადგან ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ არსს, რადგან:

- კომპანიას ჰყავს უცხოელი დაფუძნებლები; კაპიტალი დადგენილია და ივსება აშშ დოლარში.
- კომპანიას ჰყავს უცხოელი კრედიტორები და სესხები მიიღებულია აშშ დოლარში.
- მნიშვნელოვანი გარიგებები და ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაშთი დენომინირებულია აშშ დოლარში: კონტრაქტები არსებითად ყველა სამშენებლო კონტრაქტორთან დადგენილია აშშ დოლარში, ხელფასები განისაზღვრება აშშ დოლარში, საინვესტიციო ვალდებულება განსაზღვრულია აშშ დოლარში.
- ზოგადად, საქართველოს უძრავი ქონების ბაზარი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული აშშ დოლართან.

კომპანიის საქმიანობის აშშ დოლართან კავშირისა და საქართველოს ლარის მნიშვნელოვანი გაუფასურების გამო აშშ დოლართან (2014 წლის 1 იანვარს საქართველოს ლარი 1.7363/1 აშშ დოლარი იყო, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრისათვის 2.6894/1 აშშ დოლარი, რაც 53%-იანი გაუფასურებაა), კომპანიის ფინანსური ინფორმაცია, თუ მას საქართველოში ლარით წარმოვადგენთ, რთულად გასაგები და ინტერპრეტირებადი იქნებოდა მისი ძირითადი მომხმარებლებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის, რომლებიც კომპანიის დაფინანსებას აშშ დოლარებში აწვდიან. ამიტომ, ეს ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია აშშ დოლარებში (თუ არ არის მითითებული სხვა რამ), რადგან მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა უფრო სასარგებლოა ამ ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებისათვის. ყველა ფინანსური ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია აშშ დოლარებში, მრგვალებდა უახლოეს დოლარამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და საადრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-17 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ მიიღო ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოცემული იყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („IASB“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („IFRIC“) მიერ. შესაბამისია მის ოპერაციებთან და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ცვლილებების გავლენა განხილულია ქვემოთ.

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 1 იანვრიდან ან შემდეგ წლიური პერიოდებისთვის

ახალ სტანდარტებსა და ცვლილებებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ და პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

სტანდარტი	სტანდარტის ან ინტერპრეტაციის აღწერა	ძალაში შესვლის თარიღი
ბასს 8	საადრიცხვო შეფასების განმარტება (ცვლილება ბასს 8-ში)	1 იანვარი 2023
ბასს 1	საადრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (ცვლილება ბასს 1-სა და პრაქტიკული ანგარიში 2-ში)	1 იანვარი 2023
ბასს 12	საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - მეორე პილარის მოდელის წესები (შესწორებები ბასს 12-ში)	1 იანვარი 2023

სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ახსნა-განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და კომპანიის მიერ ვადამდელად არ არის მიღებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის არსებული სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ არ არის ძალაში შესული, კომპანიას ჯერ არ დაუწყია მათი დანერგვა. მენეჯმენტი არ მოელოს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე ამ სტანდარტებისა და დამატებების შესაბამისად, რომლებიც ქვემოთ მოცემულია.

სტანდარტი	სტანდარტის ან ინტერპრეტაციის აღწერა	ეფექტურია საანგარიშო პერიოდებისთვის დაწყებული ან მის შემდეგ
ბასს 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად (ცვლილება ბასს 1-ში)	1 იანვარი 2024
ფასს 16	საიჯარო ვალდებულებები გაყიდვა უკუიჯარის პირობით (ცვლილება ფასს 16-ში)	1 იანვარი 2024
ბასს 1	გრძელვადიანი ვალდებულებები მეზღუდვებით/კოვენანტებით (ცვლილება ბასს 1-ში)	1 იანვარი 2024
ბასს 7 და ფასს 7	ფინანსური შეთანხმებები მომწოდებელთან (ცვლილება ბასს 7-სა და ფასს 7-ში)	1 იანვარი 2024
ბასს 21	ურთიერთგაცვლის ნაკლებობა (ცვლილება ბასს 21-ში)	1 იანვარი 2025

3 ბუღალტრული აღრიცხვის მატერიალური პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეს კურსი შეადგენდა: 1 აშშ დოლარი - 2.6894 ლარი და 1 ევრო - 2.9753 ლარი (2022 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი - 2.7020 ლარი და 1 ევრო - 2.8844 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის საარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ავეჯი და სამედიცინო აღჭურვილობა	- 7-10 წელი
მანქანები	- 8 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ან ემატება სხვა აქტივის თვითღირებულებას წრფივი მეთოდით შესაბამისი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3.4 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანუღირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანუღირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანუღირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.5 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ფლობენ საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის მიზნით. საწყის ეტაპზე საინვესტიციო ქონება ფასდება თვითღირებულებით გარიგების დანახარჯების ჩათვლით. პირველადი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

კომპანიის საინვესტიციო ქონება მოიცავს მიწას და შენობას.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, საარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე, რომელიც შენობისათვის შეადგენს 50 წელს. იმის გამო, რომ მიწისთვის სასარგებლო მომსახურება ვადის დადგენა შეუძლებელია, მასთან დაკავშირებული საბალანსო ღირებულებებს ცვეთა არ ერიცხება.

საინვესტიციო სქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი და მასზე გაზეული საოპერაციო ხარჯები შედის საიჯარო შემოსავალში და საოპერაციო ხარჯებში, შესაბამისად.

3.6 საიჯარო აქტივები

კომპანია, როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი კონტრაქტისთვის, კომპანია განიხილავს არის თუ არა, ან შეიცავს, თუ არა ხელშეკრულება იჯარას. იჯარა განიხილება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების სანაცვლოდ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კომპანია, როგორც მეიჯარე

კომპანია, როგორც მეიჯარე, თავის იჯარას აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო, ისე ფინანსურ იჯარად.

ფინანსურ იჯარად კლასიფიცირება ხდება, თუ იგი საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს, საწინააღმდეგო შემთხვევაში კი იგი კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ახორციელებს მხოლოდ საბაზისო ფინანსური ინსტრუმენტებით ოპერაციებს, რომლებიც იწვევს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებას, როგორიცაა ვაჭრობისა და სხვა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, სესხები ბანკებიდან და სხვა მესამე მხარეებიდან, ასევე სესხები დაკავშირებული მხარეებისთვის.

ფინანსური აქტივები, რომლებიც იზომება თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, ყოველ ანგარიშგების პერიოდში შეფასდება ზარალის ობიექტური მტკიცებულების არსებობისთვის. თუ ასეთი მტკიცებულება გამოვლინდება, ზარალი აღიარება ფინანსური აქტივობების ანგარიშგებაში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის ზარალი განისაზღვრება აქტივის ბალანსურ ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ ფინანსურ აქტივს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, ზარალის გასაზომი დისკონტირების განაკვეთი არის მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განისაზღვრება ხელშეკრულებით.

თვითღირებულებით მინუს ზარალით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის ზარალი განისაზღვრება აქტივის ბალანსურ ღირებულებასა და საუკეთესო შეფასებას შორის სხვაობით, რაც მოიცავს იმ თანხის მიახლოებულ ოდენობას, რომლის მიღებასაც კომპანია შეძლებდა აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ანგარიშგების თარიღზე.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთთან კომპენსირდება, და წმინდა თანხა აისახება ფინანსური აქტივობების ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს კანონით განსაზღვრებული უფლება აღიარებული თანხების კომპენსაციისთვის და არსებობს განზრახვა წმინდა საფუძველზე გასწორების ან აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების ერთდროულად გასწორების.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივების კატეგორიების მიხედვით შეჯამება მოცემულია შენიშვნა 18.2-ში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები და გაცემული სესხები ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

IFRS 9-ის ზარალის მოთხოვნები უფრო წინდახედულ ინფორმაციას იყენებს მოსალოდნელი კრედიტული ზარალის აღიარებისთვის – „მოსალოდნელი კრედიტული ზარალის (ECL) მოდელი“. IFRS 9-ის მოთხოვნათა ფარგლში მოქცეული ინსტრუმენტები მოიცავს სესხებს და სხვა ვალის ტიპის ფინანსურ აქტივებს, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით და FVOCI-ის მიხედვით, ვაჭრობის დებიტორულ დავალიანებებს, IFRS 15-ის შესაბამისად აღიარებულ და გაზომილ კონტრაქტურ აქტივებს, სესხის ვალდებულებებს და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებას (გამცემისთვის), რომლებიც არ იზომება მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2).

დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, ასევე საკონტრაქტო აქტივების აღრიცხვაში და ზარალის რეზერვს აღრიცხავს როგორც ხანგრძლივ პერსპექტივაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ეს მოიცავს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შემცირებას, ფინანსური ინსტრუმენტის ვადის ნებისმიერ ეტაპზე დეფოლტის შესაძლებლობის გათვალისწინებით. გამოთვლისას კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე მაჩვენებლებს და მომავლის ხედვაზე დაფუძნებულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების გამოსათვლელად რეზერვის მატრიცის გამოყენებით.

კომპანია სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურებას აფასებს კოლექტიურ დონეზე, რადგან მათ აქვთ ერთიანი საკრედიტო რისკის მახასიათებლები. ეს დავალიანებები დაჯგუფებულია ვადის გადაცილების დღეების მიხედვით. დეტალური ანალიზისთვის, თუ როგორ გამოიყენება IFRS 9-ის გაუფასურების მოთხოვნები, იხილეთ შენიშვნა 6.

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული და საბანკო ნაშთები მოიცავს ხელთ არსებულ ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშებს.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების მიხედვით იხილეთ 18.2 შენიშვნაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

3.8 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით.

აკუმულირებული ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ ზარალს.

კომპანიის მფლობელებთან დაკავშირებული ყველა ტრანზაქცია აღრიცხულია საკუთარ კაპიტალში დამოუკიდებლად.

ღივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.9 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას და სადაც შესაფერისია, ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციალურ რისკებს.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებით.

საქართველოში მოქმედი დაბეგრის მოდელის მიხედვით, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („მოგების გადასახადის ესტონური მოდელი“) მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, ხოლო 15% განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. შედეგად 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არახელსაყრელი სიგრძის სასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.)

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

2017 წელს და შემდგომში გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადისთვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, საგადასახადო კრედიტი ხელმისაწვდომია წინა მოდელის მიხედვით გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისთვის.

მოგების გადასახადის ამჟამინდელი კონცეფციის მიხედვით, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;
- (c) არაფულად გასამრჯელოებს.

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე საადრისცხო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

ანაზღაურებადი გაცდენილი საათები

მოკლევადიანი თანამშრომლის სარგებლის მოსალოდნელი ღირებულება ანაზღაურებადი გაცდენის სახით აღირიცხება შემდეგი წესით:

- (a) დაგროვებადი ანაზღაურებადი გაცდენის შემთხვევაში – იმ დროს, როდესაც თანამშრომლები ასრულებენ მომსახურებას, რომელიც ზრდის მათ უფლებას მომავალში ანაზღაურებადი გაცდენილი საათების მისაღებად.
- (b) არადაგროვებადი ანაზღაურებადი არყოფნების შემთხვევაში – იმ დროს, როდესაც არყოფნა ხდება.

ბონუსები

ბონუსების გადახდების სავარაუდო ღირებულება აღიარებულია, მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს ამჟამინდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ასეთი გადახდები წარსული მოვლენების შედეგად და შეიძლება შესრულდეს ვალდებულების საიმედო შეფასება.

ამჟამინდელი ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სუბიექტს არ აქვს რეალისტური ალტერნატივა, გარდა გადახდისა.

3.12 შემოსავალი

შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საიჯარო შემოსავალი.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

კომპანიას აქვს მხოლოდ ერთი შემოსავლის წყარო, რაც არის საინვესტიციო ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავალი.

საინვესტიციო ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

4 ძირითადი საშუალებები

აშშ დოლარი	ავეჯი და სამედიცინო აღჭურვილობა	მანქანები	სულ
<i>თვითღირებულება</i>			
2022 წლის 1 იანვარი	8,210,768	193,312	8,404,080
შემოსვლა	187,086	-	187,086
გასვლა	(6,694)	-	(6,694)
2022 წლის 31 დეკემბერი	8,391,160	193,312	8,584,472
შემოსვლა	7,486	-	7,486
2023 წლის 31 დეკემბერი	8,398,646	193,312	8,591,958
<i>დაგროვილი ცვეთა</i>			
2022 წლის 1 იანვარი	553,594	186,192	739,786
წლის ცვეთა	1,657,043	2,353	1,659,396
გასვლის შედეგად ელიმინირება	(4,470)	-	(4,470)
2022 წლის 31 დეკემბერი	2,206,167	188,545	2,394,712
წლის ცვეთა	939,927	2,364	942,291
2023 წლის 31 დეკემბერი	3,146,094	190,909	3,337,003
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
2022 წლის 31 დეკემბერი	6,184,993	4,767	6,189,760
2023 წლის 31 დეკემბერი	5,252,552	2,403	5,254,955

კომპანიის ძირითადი საშუალებები 5,254,955 აშშ დოლარის ღირებულებით ჩადებულია სესხებისა და ვალდებულებების უზრუნველსაყოფად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 31 დეკემბერი: 6,189,760 აშშ დოლარი) (იხილეთ შენიშვნა 9).

კომპანიის ყველა ძირითადი საშუალება საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად ექვემდებარება საგადასახადო გირაოს/იპოთეკას (იხილეთ შენიშვნა 11).

2023 ფინანსური წლის განმავლობაში კომპანიის მმართველობამ განაახლა ძირითადი საშუალებების სასრგებლო მომსახურების ვადები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ განახლებული სასრგებლო მომსახურების ვადები არ არის არსებითად განსხვავებული აღნიშნული აქტივების ეკონომიკური სასრგებლო მომსახურების ვადებისგან.

ცვეთის ხარჯი აღრიცხულია საოპერაციო ხარჯებში.

5 საინვესტიციო ქონება

აშშ დოლარი	მიწა	შენობები	სულ
<i>თვითღირებულება</i>			
2022 წლის 1 იანვარი	2,521,451	24,116,887	26,638,338
შემოსვლა	-	111,785	111,785
2022 წლის 31 დეკემბერი	2,521,451	24,228,672	26,750,123
2023 წლის 31 დეკემბერი	2,521,451	24,228,672	26,750,123
<i>დაგროვილი ცვთა</i>			
2022 წლის 1 იანვარი	-	341,998	341,998
წლის ცვთა	-	824,602	824,602
2022 წლის 31 დეკემბერი	-	1,166,600	1,166,600
წლის ცვთა	-	465,731	465,731
2023 წლის 31 დეკემბერი	-	1,632,331	1,632,331
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
2022 წლის 31 დეკემბერი	2,521,451	23,062,072	25,583,523
2023 წლის 31 დეკემბერი	2,521,451	22,596,341	25,117,792

კომპანიის საინვესტიციო ქონება, რომელიც შეფასებულია 25,117,793 აშშ დოლარად, ჩაღებულია სესხებისა და ვალდებულებების უზრუნველსაყოფად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 31 დეკემბერი: 25,583,523 აშშ დოლარი) (იხილეთ შენიშვნა 9).

2023 ფინანსური წლის განმავლობაში კომპანიის მენეჯმენტმა განაახლა საინვესტიციო ქონების სასრებლო მომსახურების ვადა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ განახლებული სასარგებლო მომსახურების ვადა არ არის არსებითად განსხვავებული აღნიშნული უძრავი ქონების ეკონომიკური სასიცოცხლო ვადისგან.

კომპანიის ყველა ძირითადი საშუალება საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად ექვემდებარება საგადასახადო გირაოს/იპოთეკას (იხილეთ შენიშვნა 11).

საინვესტიციო ქონება საოპერაციო იჯარით გაცემულია 6 წლის ვადით. იჯარის შემოსავალმა შეადგინა 1,414,984 აშშ დოლარი (2022 წელი: 1,407,969 აშშ დოლარი) (იხილეთ შენიშვნა 12). ცვეთის ხარჯებმა შეადგინა 465,730 აშშ დოლარი (2022 წელი: 824,602 აშშ დოლარი) და აღრიცხულია საოპერაციო ხარჯებში.

მოთხვენები მომავალი საოპერაციო იჯარიდან შემდეგია:

აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
1 წლამდე	1,656,000	1,656,000
1-5 წლამდე	4,002,000	5,658,000
5 წელზე მეტი	-	-
	5,658,000	7,314,000

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	2,697,829	1,429,403
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(2,636,738)	(1,395,635)
	61,091	33,768
არაფინანსური აქტივები		
ავანსები და წინასწარი გადახდები	4,666	17,165
	4,666	17,165
	65,757	50,933

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება შემოწმდა გაუფასურების ინდიკატორებთან მიმართებით. გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად გამოწვეულია დაკავშირებული მხარის მიერ ფინანსური სირთულეებით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგნაირია:

აშშ დოლარი	2023	2022
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წლის დასაწყისის მდგომარეობით	1,395,635	395,129
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარებული წლის განმავლობაში	1,241,103	1,000,506
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წლის ბოლოს მდგომარეობით	2,636,738	1,395,635

შენიშვნა 19 (ბ)-ში წარმოდგენილია საკრედიტო რისკთან დაკავშირებული განმარტებები, და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვთან დაკავშირებული ანალიზი. როგორც მიმდინარე ასევე შესაძარის წლის გაუფასურების შეფასება ეყრდნობა ფასს 9-ს, რომელიც იყენებს მოსალოდნელი ზარალის მოდელს.

იხილეთ შენიშვნა 19 (ა) ვალუტების შესახებ, რომელშიც სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთებია გამოსახული.

7 ფული ხელზე და საბანკო ანაგარიშებზე

აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	5	8
საბანკო ანგარიშები	4,640	4,640
	4,645	4,648

კომპანიის ყველა საბანკო ნაშთი დაყადაღებულია შემოსავლების სამსახურის მიერ, საგადასახადო ვალდებულებისთვის.

იხილეთ მე-19 შენიშვნა იმ ვალუტის შესახებ, რომელშიც ნაღდი ფული და საბანკო ნაშთებია ასახული.

8 კაპიტალი და რეზერვები

8.1 საწესდებო კაპიტალი

აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საწესდებო კაპიტალი წლის დასაწყისში	29,009,552	25,312,044
შენატანი საწესდებო კაპიტალში	599,966	4,037,508
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(340,000)
საწესდებო კაპიტალი წლის ბოლოს	29,609,518	29,009,552

2020 წლის 7 თებერვალს რამდენიმე მხარემ, მათ შორის შპს საიალი, Manticore FZE და შპს აზერკონ ჰოლდინგ, გააფორმეს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც Manticore-მა უნდა განახორციელოს ინვესტიცია მინიმუმ 6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. 2021 წლის 21 იანვარს, შპს საიალი, Manticore FZE და შპს აზერკონ ჰოლდინგს შორის ხელი მოეწერა ცვლილებას, რომლის მიხედვითაც განხორციელდება დამატებითი ინვესტიცია მინიმუმ 2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

შეთანხმების და ცვლილების პირობების მიხედვით, ინვესტიციის თანხა ჩაითვლება შპს აზერკონ ჰოლდინგ-ის მიერ საწესდებო კაპიტალში შენატანად. საიალი გამოიყენებს თანხებს პროექტის განსახორციელებლად, ხოლო აზერკონი გადასცემს საიალი-ს 15% წილს Manticore-ს, ინვესტიციის სრული თანხის გადაცემის შემდეგ, თუმცა არა უფრო ადრე, ვიდრე აზერკონსა და DFC-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება არ გაუქმდება ან DFC-ის თანხმობა არ მიიღება.

2022 წლის დასაწყისისთვის Manticore FZE და სპს აზერკონ ჰოლდინგს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ აზერკონი გადაუხდიდა ინვესტირებულ თანხას Manticore FZE-ს, და Manticore FZE აღარ მოითხოვდა საიალის წილს. ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის Manticore FZE-ს არ არანაირი მოთხოვნა შპს აზერკონის და/ან შპს საიალის მიმართ.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საიალის ბანკის ანგარიშზე ჩარიცხული ინვესტიციის საერთო თანხა, რომელიც ასახულია საწესდებო კაპიტალში და მიიჩნევა შპს აზერკონ ჰოლდინგის მიერ კაპიტალის შენატანად, შეადგენს 12.7 მილიონი აშშ დოლარს (2022: 12.1 მილიონი აშშ დოლარი).

9 სესხები

აშშ დოლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი სესხები სხვა კომპანიებისგან	18,418,849	119,585	-	17,265,757
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	-	223,131	169,660	-
	18,418,849	342,716	169,660	17,265,757

უზრუნველყოფილი სესხები სხვა კომპანიებისგან

უზრუნველყოფილი სესხები სხვა კომპანიებიდან წარმოადგენს სესხებს, რომლებიც მიღებულია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების ფინანსური კორპორაციისგან („DFC“, ადრე ცნობილი როგორც OPIC). სესხის შეთანხმება DFC-სთან გაფორმდა 2015 წლის მაისში, ხოლო სესხის გასტუმრების თარიღია 2029 წლის 20 ნოემბერი.

სესხის მიზანია თბილისში, საქართველოში განთავსებული საავადმყოფოს განვითარების დაფინანსება, მშენებლობა, კეთილმოწყობა და ფუნქციონირება.

DFC-ის სესხი დენომინირებულია აშშ დოლარში და სახსრების ღირებულება OPIC Spread-ის ჯამია-სამი მთელი სამოცდათხუთმეტი პროცენტი (3,75%) და OPIC-ის სახსრების ღირებულება-ფიქსირებული

პროცენტი, რომელიც განისაზღვრება თანხის გაცემაზე, ყოველთვიური საშუალო "აშშ სახაზინო მუდმივი ვადის გასვლამდე მიღებული შემოსავალი" წინა კალენდარული თვისთვის, რომელიც გამოქვეყნდა ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს H.15 (519) სტატისტიკურ გამოცემაში, ან, თუ არ გამოქვეყნებულა დახურვის თარიღამდე ერთი (1) სამუშაო დღის განმავლობაში, OPIC- ის მიერ გათვლილი ამ თვისთვის ხელმისაწვდომი ისტორიული მონაცემების გამოყენებით, ამგვარი განსაზღვრის მიზნების გათვალისწინებით (ა) სესხის დაფარვის თარიღი და (ბ) შემდეგი მუდმივი ვადიანობა: (i) 5-წლიანი საბოლოო დაფარვის თარიღის შემთხვევაში, რომელიც არის სულ მცირე 1 წელი, მაგრამ არანაკლებ 5 წლისა თარიღის შემდეგ ასეთი ხარჯი; (ii) 7-წლიანი განაკვეთი საბოლოო დაფარვის თარიღის შემთხვევაში, რომელიც სულ მცირე 5 წელია, მაგრამ არანაკლებ 7 წლისა თარიღის შემდეგ ასეთი ხარჯი; (iii) 10-წლიანი განაკვეთი საბოლოო დაფარვის თარიღის შემთხვევაში, სულ მცირე 7 წლის, მაგრამ არანაკლებ 10 წლისა თარიღის შემდეგ ასეთი ხარჯი; და (iv) 20 – წლიანი განაკვეთი საბოლოო დაფარვის ვადის შემთხვევაში, რომელიც სულ მცირე 10 წელია, მაგრამ არა უმეტეს 20 წლისა თარიღის შემდეგ ასეთი ხარჯი.

DFC-სგან აღებული სესხის საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 5.90%-ს წლიურად (2022: 5.89% წლიურად).

სესხის ხელშეკრულება აწესებს გარკვეულ ფინანსურ შეთანხმებებს, მათ შორის ფინანსური თანაფარდობის ლიმიტებს. ეს მოთხოვნებია:

- a. კომპანია უნდა ინარჩუნებდეს ნებისმიერ დროს (i) დავალიანების თანაფარდობას მატერიალური წმინდა ღირებულების არაუმეტეს 1,6-დან 1-ისა და (ii) მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების თანაფარდობას არანაკლებ 1,1-დან 1-მდე, თითოეული იზომება კვარტალურად, დაწყებული კვარტლის დასრულებით, 2017 წლის 20 აგვისტოს შემდეგ.
- b. კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს ყოველ ჯერზე დაწყებული კვარტლის დამთავრებიდან საშელავათო პერიოდის შეწყვეტისთანავე ფულადი სახსრების მოძრაობის თანაფარდობა ბოლოს დასრულებული ზედიზედ ოთხი (4) სრული ფისკალური კვარტლისთვის, აღებულია როგორც ერთი საანგარიშო პერიოდი, სესხის მომსახურების ბოლოს დასრულებული ზედიზედ ოთხი (4) სრული ფისკალური კვარტლისთვის, აღებულია როგორც ერთი საანგარიშო პერიოდი, არანაკლებ 1.4 – დან 1 – მდე.
- c. DSR- ის ანგარიშის (დოლარის ნომინალის ანგარიში, რომელიც დაფუძნდა OPIC- ისთვის მისაღები და OPIC- ისთვის დაპირებული ფინანსურ ინსტიტუტში) დაფუძნების შემდეგ, DSR ხელშეკრულების შესაბამისად, კომპანია აწარმოებს სახსრების ან აქტივების დეპოზიტზე განთავსებას ან DSR ანგარიშზე დეპოზიტზე განთავსებული აქტივები, საბაზრო ღირებულებით, სულ მცირე, ტოლია სესხის მომსახურების მთლიანი თანხა სესხთან მიმართებაში, მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში.

საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანიას დარღვეული აქვს ზემოთ წარმოდგენილი კოვენანტები, შესაბამისად, სესხის მთლიანი თანხა კლასიფიცირებულია მიმდინარე ვალდებულებად.

თუმცა, მენეჯმენტი დარწმუნებულია რომ მოილაპარაკებს DFC-სთან ამ საკითხზე და ამას არანაირი გავლენა არ ექნება კომპანიის მომავალ საქმიანობაზე და DFC-სთან ურთიერთობაზე.

სასესხო ხელშეკრულება აწესებს შეზღუდვებს, რომელიც ეხება აქციონერებისთვის გადახდებს. სესხის ხელშეკრულების თანახმად, მსესხებელი არ განახორციელებს ან არ აიღებს ვალდებულებას, განახორციელოს შემდეგი გადახდები:

- a. ნებისმიერი დივიდენდი ან განაწილება მსესხებლის კაპიტალის ნებისმიერ წილზე, კაპიტალის შემცირების ჩათვლით;
- b. ნებისმიერი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა მსესხებლის ნებისმიერი სავალდებულო გადასახადიდან ნებისმიერი აქციონერის ან მსესხებლის ნებისმიერი შვილობილი კომპანიის სასარგებლოდ, გარდა ანგარიშებისა, რომლებიც გადაიხდება საქონლის ან მომსახურების გაწევის საფუძველზე;
- c. მსესხებლის კაპიტალის აქციების ნებისმიერი წილის შეძენა, გამოსყიდვა, შეძენა ან პენსიაზე გატანა ან მსესხებლის ნებისმიერი სავალდებულო დავალიანება, რომელსაც ფლობს ნებისმიერი აქციონერი ან მსესხებლის შვილობილი კომპანია; და
- d. ნებისმიერი გადახდა მსესხებლის მიერ, ან რომელიმე აქციონერის სახელით ან ნებისმიერი აქციონერის სხვა შვილობილი ორგანიზაცია, გარდა ზემოთ მოცემული (ა), (ბ) და (გ) ქვეპუნქტებისა,

კომპენსაციის, გადასახადების, ხელფასების, პრემიებისა და საკომისიოების გადახდა ან ნებისმიერი აქციონერის ან ნებისმიერი აქციონერის შვილობილი კომპანია, რომელიც ასეთი მხარის სასარგებლოდ გამოდგება.

სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ყველა აქტივით (იხილეთ შენიშვნები 4, 5 და 7).

2023 წელს კომპანიამ არ გადაიხადა DFC-ის სესხის არცერთი კვარტალური გადასახადი. კომპანია ამჟამად აწარმოებს მოლაპარაკებებს მსესხებელთან ახალი კონტრაქტის პირობებზე.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთისა და უცხოური ვალუტის რისკების ზემოქმედების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 19.

არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან

არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან დენომინირებულია აშშ დოლარში, 2 წლის ვადით და აქვს საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წლიური 7.63%;

კომპანიის საპროცენტო განაკვეთისა და უცხოური ვალუტის რისკების ზემოქმედების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 19.

10 იჯარა

იჯარის ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შემდეგი სახით:

აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	35,291	30,636
გრძელვადიანი	20,440	54,696
	<u>55,731</u>	<u>85,332</u>

საოპერაციო იჯარები, როგორც გამჭირავებელი

კომპანია აქირავებს საინვესტიციო უძრავ ქონებას საოპერაციო იჯარებით (იხილეთ შენიშვნა 5).

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	243,803	315,305
საგადასახადო ვალდებულებები	163,248	461,040
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	41,400	-
სხვა	105,488	-
	<u>553,939</u>	<u>776,345</u>

სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. კომპანიას გააჩნია ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ვალდებულების გადახდას საკრედიტო ვადის ფარგლებში.

2023 წლის 7 მარტიდან, შპს საიალის მიერ გადასახადებისა იძულებითი გადახდის თაობაზე, თბილისი საქალაქო სასამართლოში განიხილება ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ ბრძანება.

2023 წლის 21 ივნისს, შპს საიალიმ მიიღო 599,966 აშშ დოლარი თავისი საბანკო ანგარიშზე, რომელიც ავტომატურად გადარიცხა შემოსავლების სამსახურის ვალდებულებების დაფარვის მიზნით (ვალდებულებები სრულად დაიფარა, ქონების გადასახადის და დამატებული ღირებულების გადასახადის გარდა).

ანგარიშგების თარიღიდან კომპანიის ყველა საინვესტიციო ქონება, ძირითადი საშუალებები და საბანკო ანგარიშები ექვემდებარება საგადასახადო გირავნობას/იპოთეკას შემოსავლების სამსახურის მიერ. გთხოვთ, ასევე იხილოთ შენიშვნა 16 დამატებითი დეტალებისთვის.

სხვა ვალდებულებები წარმოადგენს გადაუხდელ საგადასახადო ვალდებულებებზე გადასახდელ ჯარიმებს.

იხილეთ შენიშვნა 19 დამატებითი ინფორმაციისთვის კომპანიის უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების შესახებ.

12 საიჯარო შემოსავალი

კომპანიის საინვესტიციო ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 1,414,984 აშშ დოლარს 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (2022: 1,407,969 აშშ დოლარი).

13 უიმედო ვალების ხარჯი

აშშ დოლარი	2023 წელი	2022 წელი
წლის განმავლობაში ჩამოწერილი ავანსები	20,689	40,563
წლის განმავლობაში აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	1,241,103	1,000,506
	1,261,792	1,041,069

14 ჯარიმები

2022 წლის 8 აგვისტოს, სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მიმართა სს ვითიბი ბანკი საქართველოს მოთხოვნით, გადაერიცხა გარანტიის თანხა 1.7 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით სახელმწიფო ხაზინაზე არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების გამო.

2022 წლის 16 აგვისტოს საბანკო გარანტიის მთლიანი თანხა, რომლის გამოყენებაც საქართველოს მთავრობისგან მიწის ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებით იყო შეზღუდული, სს ვითიბი ბანკი საქართველომ სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე ჩარიცხა.

2023 წლის განმავლობაში, მოგების და ზარალის ანგარიშგებაში შეტანილი ჯარიმები დაკავშირებულია გადაუხდელობა საგადასახადო ვალდებულებებთან (იხილეთ შენიშვნა 11).

15 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

აშშ დოლარი	2023 წელი	2022 წელი
საპროცენტო ხარჯი უზრუნველყოფილ სესხზე	1,033,507	1,119,314
დაკავშირებული მხარის სესხებზე საპროცენტო ხარჯები	12,539	7,546
იჯარაზე საპროცენტო ხარჯები	7,592	4,386
გაცემული სესხების გაუფასურება	6,740	414,381
ნოტმთლიანი ფინანსური ხარჯი	1,060,378	1,545,627
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების ჩამოწერა	66,010	-
საპროცენტო შემოსავალი მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებზე	3,205	266
საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებული მხარეების სესხებზე	6,740	4,681
მთლიანი ფინანსური შემოსავალი	75,955	4,947
წმინდა ფინანსური ხარჯი	(984,423)	(1,540,680)

16 შემდგომი მოვლენები

2024 წლის 22 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოსცა ბრძანება ყადაღადადებული ქონების აუქციონის გზით გაყიდვის შესახებ.

ბრძანების გაცემის შემდეგ, დავალიანება მთლიანად დაიფარა და მოხსნილი იქნა კომპანიის ქონებაზე დადებული ყადაღა. ამ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის საგადასახადო ვალდებულება შეადგენს 1,385,169 ლარს რომელიც 485,820 აშშ დოლარის ექვივალენტია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გადადო სხდომა 2024 წლის 31 ოქტომბრისთვის კომპანიის საჩივრის საფუძველზე, სადაც კომპანია ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 22 მარტის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ ბრძანების გაუქმებას. ფინანსური ანგარიშგების წარგენის თარიღისათვის კომპანიის საჩივარი დაკმაყოფილებულია.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის ბანკის ანგარიში, საინვესტიციო უძრავი ქონება და აღჭურვილობა დაყადაღებულია საგადასახადო სამსახურის მიერ, იჯარის მიმღები განაგრძობს აღნიშნული ქონების გამოყენებას და საქმიანობას.

2024 წლის განმავლობაში, შპს American Hospital Network-მა, შპს საიალის სახელით, გადაიხადა "DFC"-ის სესხის პროცენტი 151,163 აშშ დოლარის ოდენობით და სესხის მომსახურების გადასახადი 100,000 აშშ დოლარის ოდენობით.

2024 წლის 27 ნოემბერს, კომპანიის დამფუძნებლებმა ბატონი ფუად რაფიევი დანიშნეს შპს საიალის ახალ დირექტორად, რაც 2024 წლის 17 დეკემბერს აისახა საჯარო რეესტრში.

17 მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

17.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

უიმედო და საეჭვო ვალეების ანარაირი

კომპანია აფასებს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს მის გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. დებიტორული დავალიანების ფაქტობრივი ინკასო განაკვეთები შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის მიმდინარე შეფასებებისგან.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთი

ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა.

17.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

ფინანსური მდგომარეობის შესახებ განცხადება ასახავს მნიშვნელოვან დაგროვილ ზარალს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (18.3 მილიონი აშშ დოლარი) (2022 წლის 31 დეკემბერი: 15.6 მილიონი აშშ დოლარი) და კომპანიას მნიშვნელოვანი წმინდა ზარალი ჰქონდა 2023 წლის განმავლობაში (2.7 მილიონი აშშ დოლარი) და 2022 წლის განმავლობაში (5.8 მილიონი აშშ დოლარი) და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებები 18.9 მილიონი აშშ დოლარით აღემატება მიმდინარე აქტივებს.

როგორც აღნიშნულია შენიშვნებში 4, 5, 7 და 11 კომპანიის ყველა საინვესტიციო ქონება, ძირითადი საშუალებები და საბანკო ნაშთები შემოსავლების სამსახურის მიერ ექვემდებარება საგადასახადო გირაოს/იპოთეკას საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად.

ამასთან, როგორც ზემოთ აღნიშნულია, შენიშვნა 9-ში, ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, კომპანიამ დაარღვია სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები, სადაც სესხის გამცემს (DFC) აქვს მნიშვნელოვანი უფლებები კომპანიის ქონების ჩამორთმევის შესახებ, თუ კომპანიის მმართველობა ვერ მიაღწევს მათთან შეთანხმებას.

ეს გარემოებები შესაძლოა მნიშვნელოვნად ექვემდებარება აყენებდეს კომპანიის უნარს, განაგრძოს ოპერაციები ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით ახლო მომავალში.

თუმცა, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მოახერხებს ხელშეკრულების მოთხოვნებთან დაკავშირებული დარღვევის გამო DFC-სთან მოლაპარაკებების გამართვას და კომპანიის საქმიანობა გაგრძელდება მისი დამფუძნებლების ფინანსური მხარდაჭერით.

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია დროულად დაფარავს ყველა არსებით და კრიტიკულ ვალდებულებას ან შეძლებს გადახდის პირობების გადახედვას, რაც უზრუნველყოფს კომპანიის საქმიანობის გაგრძელებას მნიშვნელოვანი გაუარესების გარეშე.

ზემოთ აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

18 ფინანსური ინსტრუმენტები

18.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნაში 3.7.

18.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები თითოეული კატეგორიისთვის წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები

აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	61,091	33,768
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	4,645	4,648
სულ ფინანსური აქტივები	65,736	38,416

ფინანსური ვალდებულებები

აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
გრძელვადიანი სესხები	169,660	17,265,757
მიმდინარე სესხები	18,418,849	342,716
საიჯარო ვალდებულებები	55,731	85,332
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	243,803	315,305
სულ ფინანსური ვალდებულებები	18,888,043	18,009,110

19 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

a) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენებია თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ამერიკულ დოლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ერთეული

2023 წლის 31 დეკემბერი	ლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,115	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	6	-
	1,121	-
ფინანსური ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	-	55,731
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	229,803	-
	229,803	55,731
წმინდა პოზიცია	(228,682)	(55,731)

ერთეული

2022 წლის 31 დეკემბერი

	ლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	-
	7	-
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	725,703	-
საიჯარო ვალდებულებები	-	85,332
	725,703	85,332
წმინდა პოზიცია	(725,696)	(85,332)

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 10%-იანი (2022: 10%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 10% (2022: 10%) არის ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ მუხლებს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 10%-იანი (2022: 10%) განაკვეთით.

ამერიკული დოლარი რომ გამყარებულიყო ქართულ ლართან და ევროსთან მიმართებაში 10%-ით (2022: 10%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

აშშ დოლარი	ქართული ლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2023	2022	2023	2022
მოგება/ზარალი	(22,868)	(72,570)	(5,573)	(8,533)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის პოლიტიკაა, შეამციროს საპროცენტო განაკვეთის ფულადი ნაკადების რისკი და გრძელვადიანი დაფინანსება. ამიტომ გრძელვადიანი სესხები არის ჩვეულებრივ, ფიქსირებული განაკვეთით.

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებიდან, მათ შორის ფულადი სახსრებისა და ექვივალენტებისა, რომლებსაც ფლობს კომპანია ბანკებში, გაცემულ ნასესხებ სახსრებში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება ჯგუფურად, კომპანიის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე.

საკრედიტო რისკი ფულად ნაშთებთან და დეპოზიტებთან მიმართებაში ხორციელდება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით, და ეს მხოლოდ მთავარ რეპუტაციულ ფინანსურ ინსტიტუტებთან არის დაკავშირებული.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული მუხლები არ შეიცავს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტს.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი ეფუძნება გაყიდვების გადახდის პროფილს ბოლო 48 თვის განმავლობაში, შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრამდე და 2023 წლის 1 იანვრამდე, აგრეთვე შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალებს ამ პერიოდის განმავლობაში. ისტორიული განაკვეთები შეესაბამება

მიმდინარე და მომავალი მაკროეკონომიკური ფაქტორების კორექტირებას, რომლებიც გავლენას ახდენს მომხმარებლის შესაძლებლობაზე გადაიხადოს დავალიანება.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები ჩამოიწერება (ანუ აღარ აღიარდება), როდესაც არ არსებობს მოსალოდნელი აღდგენის შესაძლებლობა.

ზემოთ მოყვანილის საფუძველზე, სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2023 წელი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი აღრიცხული თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	56%	138,000	76,909
1-6 თვემდე	100%	690,000	690,000
6 თვიდან 1 წლამდე	100%	828,000	828,000
1 წელზე მეტი	100%	1,041,829	1,041,829
		<u>2,697,829</u>	<u>2,636,738</u>
1 იანვარი 2022 წელი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი აღრიცხული თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	76%	138,000	104,232
1-6 თვემდე	100%	690,000	690,000
6 თვიდან 1 წლამდე	100%	601,403	601,403
		<u>1,429,403</u>	<u>1,395,635</u>

ც) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს კრედიტორების მიმართ.

შემდეგი ცხრილი ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდებს. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების დასაფარად საჭირო არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, იმ უახლოესი თარიღებისთვის, როდესაც შეიძლება კომპანიისგან მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულებების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2023	უპროცენტო	ფინანსური იჯარის ვალდებულება	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	სულ
6 თვეზე ნაკლები	243,803	20,236	-	264,039
6 თვიდან 1 წლამდე	-	20,236	2,160,168	2,180,404
1-5 წლამდე	-	20,236	20,403,039	20,423,275
5 წელზე მეტი	-	-	32,932,637	32,932,637
	<u>243,803</u>	<u>60,708</u>	<u>55,495,844</u>	<u>55,800,355</u>

2022

	უპროცენტო	ფინანსური იჯარის ვალდებულება	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	სულ
6 თვეზე ნაკლები	315,699	18,095	4,091,664	4,425,458
6 თვიდან 1 წლამდე	-	18,095	1,466,081	1,484,176
1-5 წლამდე	-	54,286	10,678,412	10,732,698
5 წელზე მეტი	-	-	4,585,716	4,585,716
	315,699	90,476	20,821,873	21,228,048

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად. კომპანიის ნაღდი ფული და სავაჭრო დებიტორული დავალიანებები მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე მიმდინარე ფულადი ნაკადების გადინების მოთხოვნები.

20 სამართლიანი ღირებულებით შეფასება

კომპანია გვთავაზობს იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და აჯგუფებს მათ 3 დონეზე. თითოეული დონე განხილულია ქვემოთ:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ; და
- დონე 3- სამართლიანი ღირებულების შეფასება დამოკიდებულია შეფასების ტექნიკებზე, რომელიც იყენებენ ისეთ მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე ღია დაკვირვებად მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

20.1 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით რომელთა სამართლიანი ღირებულება გახსნილია

კომპანიის სესხების საბალანსო ღირებულება ითვლება სამართლიანი ღირებულების გონივრულ მიახლოებად.

20.2 არაფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს არაფინანსური აქტივები, რომლებიც იზომება რეალური ღირებულებით.

21 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და დამფუძნებლებისთვის ადექვატური უკუგების ჩვენება.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საწესდებო კაპიტალის, აკუმულირებულ მოგებისა და სესხებისაგან, რომლებიც წარდგენილია შენიშვნა 9-ში.

კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აფასებს თავისი კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს მაღალი ლევერიჯი.

კომპანია მეთვალყურეობს კაპიტალს “წმინდა ვალსა” და “კორექტირებულ საკუთარ კაპიტალს” შორის თანაფარდობით.

აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
წმინდა ვალი		
სესხები	18,588,509	17,608,473
მინუს: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშზე	(4,645)	(4,648)
	18,583,864	17,603,825
კორექტირებული საკუთარი კაპიტალი		
სულ კაპიტალი	11,309,775	13,441,619
	11,309,775	13,441,619
წმინდა ვალისა და კორექტირებული საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა	1.64	1.31

22 ვალდებულებები

22.1 სამართლებრივი ვალდებულებები

როგორც მე-11 შენიშვნაშია აღწერილი, 2023 წლის 7 მარტიდან განხილვაშია შემოსავლების სამსახურის წარდგენილების თანახმად, შპს საიალის მიერ გადასახდელი გადასახადებისა და გადასახადების იძულებით გადახდასთან დაკავშირებული საკითხი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ. 2023 წლის 21 ივნისს შპს საიალმა თავის საბანკო ანგარიშზე მიიღო 599,966 აშშ დოლარი, რომელიც ავტომატურად მიმართული იყო შემოსავლების სამსახურის წინაშე ვალდებულებების დასაფარად (ვალდებულებები სრულად იყო დაფარული, გარდა ქონების გადასახადისა და ღღ-ისა).

როგორც შენიშვნა 16-შია აღწერილი, 2024 წლის 22 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ აუქციონის წესით გასცა ბრძანება ყადაღადადებული ქონების გაყიდვის შესახებ. ბრძანების გაცემის შემდეგ დავალიანება სრულად გადაიხადეს, ხოლო საგადასახადო გირავნობა / იპოთეკა საქართველოს შემოსავლების სამსახურმა გააუქმა.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღამდე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილეს კომპანიის საჩივარი, რომელშიც კომპანია ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 22 მარტის დადგენილების გაუქმებას, რაც ეხებოდა ყადაღადადებული ქონების გაყიდვას.

23 გაუთვალისწინებელი გარემოებები

23.1 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას ამ ეტაპზე სრულად არ აქვს დაზღვეული ძირითადი საშუალებები, ბიზნეს საქმიანობა და მესამე მხარის პასუხისმგებლობა საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებრივი და გარემოსგან მიყენებული ზიანისგან. ვიდრე კომპანია არ უზრუნველყოფს დაზღვევის შესაბამის დონეს რისკია, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

23.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ცვალებადი კანონმდებლობით, რომელიც ხშირად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. ხშირად სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებსა და იურისდიქციებს შორის განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.

ეს ფაქტები საქართველოში საგადასახადო რისკებს მნიშვნელოვნად უფრო მეტად ქმნის, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული განმარტები გააკეთონ, რა შემთხვევაშიც ეფექტი კომპანიაზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

23.3 გარემოს დაცვა

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიამ დააკმაყოფილა მთავრობის მოთხოვნები გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და, შესაბამისად, მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები. თუმცა, საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და კანონმდებლობაში და მის ინტერპრეტაციაში პოტენციურმა ცვლილებებმა მომავალში შესაძლოა არსებითი ვალდებულებები წარმოშვას.

24 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

საფინანსო საქმიანობიდან გამომდინარე კომპანიის ვალდებულებებში ცვლილებები შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

აშშ დოლარი	უზრუნველყოფილი სესხები	არაუზრუნველყოფილი სესხები	იჯარის ვალდებულებები	სულ
2022 წლის 1 იანვარი	17,034,359	57,208	-	17,091,567
ფულადი ნაკადები				
შემოსავალი	-	150,000	-	150,000
გადახდილი პროცენტი	(521,635)	-	(5,158)	(526,793)
არაფულადი ნაკადები				
საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი აღიარება	-	-	81,117	81,117
დარიცხვით პროცენტი	1,119,314	7,546	4,386	1,131,246
სავალუტო მოგება ზარალი	-	8,377	4,987	13,364
სავაჭრო დავალიანების გაქვითვა AHN-ისგან	(246,696)	-	-	(246,696)
2022 წლის 31 დეკემბერი	17,385,342	223,131	85,332	17,693,805
ფულადი ნაკადები				
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	-	-	(20,606)	(20,606)
არაფულადი ნაკადები				
დარიცხვით პროცენტი	1,033,507	12,539	7,592	1,053,638
სავაჭრო დავალიანების გაქვითვა AHN-ისგან	-	-	(16,587)	(16,587)
სესხების ჩამოწერა	-	(66,010)	-	(66,010)
2023 წლის 31 დეკემბერი	18,418,849	169,660	55,731	18,644,240

25 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები მოიცავს მის მშობელ კომპანიას, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებს, ძირითად ხელმძღვანელობას და სხვებს, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

25.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „აზერკონ ჰოლდინგ“-ი, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების 72%

-ს. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ბატონი განბარ გურბანოვი.

25.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ტრანზაქციები.

აშშ დოლარი

ტრანზაქციები	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტები და სხვა		
საიჯარო შემოსავალი	1,414,984	1,407,969
შემოსულობა სესხებიდან	-	150,000
გაცემული სესხის დაბრუნება	-	250,000
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	6,740	4,681
გაცემული სესხების გაუფასურება	(6,740)	(414,381)
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	(12,539)	(7,546)
ჩამოწერილი სესხები	66,010	-

აშშ დოლარი

საბოლოო ნაშთები	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	61,091	33,768
მიღებული სესხები	169,660	223,131

25.3 გარიგებები ხელმძღვანელებთან და ოჯახის წევრებთან

კომპანიის დირექტორებსა და მათი ახლო ოჯახის წევრებს 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი წილი არ ჰქონდათ შპს „Azercon Holding“-ში.

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა სარგებელში, მოცემულია ქვემოთ.

აშშ დოლარი

	2023 წელი	2022 წელი
ხელფასები და ბონუსები	75,000	58,000